



საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს

აკადემიის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2337895 25 სექტემბერი 2018

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწვევის
აკრძალვის/შეზღუდვის წესის დამტკიცების შესახებ

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის N975 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ტერიტორიაზე თამბაქოს მოწვევის აკრძალვის/შეზღუდვის წესი დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აკადემიის სამეურნეო სამსახურის უფროსს (ზ. ანთაძე).
3. ბრძანება გამოქვეყნდეს აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე (<http://policeacademy.gov.ge>).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N10).

საფუძველი: სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ხელმძღვანელობის განკარგულება.

რექტორი
პოლიციის პოლკოვნიკი

გამოყენებულია ელექტრონული
ხელმოწერა

ივანე პაპიაშვილი

**სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის
აკრძალვის/შეზღუდვის წესი**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის (შემდგომში – აკადემია) შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

მუხლი 2. თამბაქოს მოწევის აკრძალვა/შეზღუდვა

1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია აკადემიის შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ისინი საქმიანობას ეწევიან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილებისა.

2. თამბაქოს მოწევა დასაშვებია აკადემიის შენობა-ნაგებობების კუთვნილ ტერიტორიაზე – ღია სივრცეში, სადაც მოწყობილია ადგილი თამბაქოს მოწევისათვის.

3. თამბაქოს მოსაწევი ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს საფერფლით ან/და სანაგვე ურნით.

მუხლი 3. აკადემიის სამეურნეო სამსახურის ვალდებულებები

1. აკადემიის სამეურნეო სამსახური ვალდებულია:

ა) შენობა-ნაგებობების ყველა შესასვლელსა და გასასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსოს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, თამბაქოს მოწევის ამკრძალავი ნიშანი, აგრეთვე იმ მოსამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თამბაქოს მოწევის ადგილას განათავსოს შესაბამისი ნიშანი და უზრუნველყოს თამბაქოს მოწევის ადგილის სანაგვე ურნით ან/და საფერფლით აღჭურვა.

2. აკადემიის შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის დაცვის განმახორციელებელი მოსამსახურე ვალდებულია, დასაცავ ობიექტზე (შენობა-ნაგებობის ან/და ტერიტორიის შესაბამისი მონაკვეთი) თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესების დარღვევის ფაქტი აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსამსახურისათვის.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის დარღვევისათვის

1. აკადემიის მოსამსახურეს ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. აკადემიის მსმენელს ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება აკადემიის რექტორის სამართლებრივი აქტ(ებ)ის შესაბამისად.

2. აკადემიის დაწესებულების შენობა-ნაგებობებში ან/და მის ტერიტორიაზე მყოფი გარეშე პირის მიერ ამ წესის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსამსახურე, უფლებამოსილია მოსთხოვოს დამრღვევ პირს თამბაქოს მოწევის შეწყვეტა, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის ან/და ტერიტორიის დატოვება.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის ბრძანება 09.08.2019 N 2109711